ყაყი თოფუხის ბრძოლა ფოტო

Фонд № 287 Опись № 1 Ед. хр. № 36

დასკანირებულია
15.01.2025

Фонд № 287 1 Ед. хр. № 36

Государственный исторический музей

29.

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ზღაპრებისა და ლეგენდების კარგი კრებული

ქართული ზეპირსიტყვიერების განვითარების ისტორიის მეცნიერული შესწავლა უმდიდრეს მასალას იძლევა ხალხური დაუშრეტელი სიბრძნის, ხალხის გენიალური აზროვნების ბრწყინვალე ნიმუშების შესაცნობად. თაობიდან თაობამდე, საუკუნიდან საუკუნემდე ლეგენდებად და ზღაპრებად გადასულ ხალხურ შემოქმედებაში მთავარი, განსაზღვრელი ადგილი ყოველთვის ეჭირა სამართლიანობის და სიკეთისათვის, თანასწორობისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის იდეას. დაჩაგრულისადმი თანაგრძნობის, ბარიბასადმი დახმარებისა და ხელის შემწყობის სულისკვეთებით არის გამსჭვალული ძირითადი და არსებითი ნაწილი ქართული მრავალფეროვანი ფოლკლორული ნიმუშებისა, რომელთა შეკრება-გამოცემისა და შესწავლა-განზოგადების საქმეს განსაკუთრებული ყურადღება მიექცა მხოლოდ დიად სტალინურ ეპოქაში, საბჭოთა მთავრობისა და ლენინ-სტალინის პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგად.

ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ მიმდინარე წელს გამოცემული მეტად საყურადღებო კრებული „ქართული ხალხური ეპოსი“, რომელშიც თავმოყრილია 15 ზღაპარი და ლეგენდა, ჩაწერილი და დამუშავებული დოც. ალ. ღლონტის მიერ. დოც. ალ. ღლონტი ათეულზე მეტი წელია ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქართული ფოლკლორისტიკის დარგშიც და თავისი საინტერესო გამოკვლევებით გარკვეული წვლილი შეაქვს ამ შედარებით ახალგაზრდა მეცნიერების განვითარებაში. ჯერ კიდევ 1937 წელს გამოქვეყნებულმა მისმა შრომამ „გურული ფოლკლორი“ ჩვენი საზოგადოების ფართო ყურადღება მიიქცია. ამ დროიდან იგი დიდ დროსა და ენერგიას ახმარს საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში გავრცელებული ზღაპრების, ლეგენდების, არაკების, ანდაზების შეკრებას, მათს დაგროვებას და ცალკე წიგნებად გამოცემას.

სრულიად კრებული იმით არის აღსანიშნავი, რომ მასში მხოლოდ ერთი მთქმელის — ფიდა კვიწინაძის გონებითს სალაროში შემონახული საინტერესო ზღაპრები და ლეგენდებია გამოქვეყნებული. ამ მხრივ მას წინამორბედი არ ჰყავს. კრებულის წინასიტყვაობაში დოც. ალ. ღლონტი პირველად გვაცნობს ხალხური ზღაპრებისა და ლეგენდების მთქმელის ვინაობას, — ფოლკლორისტიკის დარგში შრომუშავე ზოგიერთი მკვლევარი აქამდე გვრჩებოდა მთქმელთა ვინაობის გარკვევის საკითხს. ისინი დაინტერესებული იყვნენ უმთავრესად მასალის ჩაწერით და ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ თვით იმ ადამიანებს, რომელთა გონებაში ესოდენ სათუთად და ფაქიზად ინახებოდა ძვირფასი ხალხური საუნჯე, ხალხური სიბრძნე, სიმდიდრე და სიმშვენიერე.

ფიდა კვიწინაძის სახით კი ჩვენს ხალხს ჰყოლია არა უბრალო მთქმელი, არამედ ხალხური შემოქმედების ნიმუშების თავისებური შემოქმედი და დიდი პოპულარიზატორი. „ფიდა კვიწინაძე, — წერს წინასიტყვაობაში დოც. ალ. ღლონტი, — ეკუთვნის ქართული ზეპირსიტყვაობას მთქმელთა იმ პლეადას, რომელთაც თავიანთი მეხსიერებით შემოგვინახეს და შთამომავლობას გადასცეს ხალხური გენიის უბრწყინვალესი ნიმუშები. ამიტომ არის, რომ ლენინ-სტალინის პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ასე დიდ ყურადღებას აქცევენ მთქმელთა გამოვლინებას, ხალხური შემოქმედების ნიმუშების შეკრებასა და პუბლიკაციას“.

გორის რაიონის სოფელ ბერშუეთში მცხოვრებ კოლმეურნე ფიდა კვიწინაძეს ზეპირად ცოდნია 400-ზე მეტი ხალხური ლექსი, შაირი, ანდაზა, 157 ზღაპარ-ლეგენდა და ხალხური შემოქმედების სხვა მრავალი ნიმუში. მარტოოდენ ეს ფაქტი თავისთავად მეტყველებს, თუ რა გასაოცარი მეხსიერებისა და ფანტაზიის პატრონი ყოფილა ოდესღაც გაჭირვებასა და სიღატაკეში აღზრდილი ეს გლეხი, რომელსაც მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლებამ მოუტანა ბედნიერება და შესაძლებლობა მისცა გამოევლინებინა თავისი ნიჭი, სამშობლოსადმი თავისი განუსაზღვრელი სიყვარული და ერთგულება. კვიწინაძის ხაიბობიდან კრებულში შეტანილია შემდეგი ზღაპრები და ლეგენდები: „ამირანი“, „ამირანის შვილი“, „ტარიელი“, „როსტომი“, „მთაკაცი“, „მგელკაცა“, „ასლანის გაზრდილი“, „ობოლი ბიჭი“, „სოლომონ ბრძენის რჩევა“, „ბედი და იღბალი“, „მეჩონგური“, „ალექსანდრე მაკედონელი და მეღორე“, „როგორ გაზრდა გამარჯობა“, „ღვინის გაჩენა“ და „ბატონ ზუმბათოვის მოკვლა“. თემატურად ეს ზღაპრები და ლეგენდები მრავალფეროვანია. უმთავრესად მათ საგმირო-საყოფაცხოვრებო ხასიათი აქვთ. მაგრამ თვითეულ მათგანში, როგორც დოც ალ. ღლონტი აღნიშნავს, აღბეჭდილია ხალხის დაუშრეტელი და მარად უკვდავი, დიადი და კეთილშობილური ფანტაზია. ზღაპრები დევგმირ ამირანზე, ტარიელზე, როსტომზე აღსავსეა საინტერესო თავგადასავლებით, მაღალი მორალური თვისებებით, ოპტიმისტური იდეალებით, ადამიანური ღირსებებით, რითაც ისინი ეხმაურებიან ჩვენს სოციალისტურ თანადროულობას.

მეორე მთავარი ღირსება სარეცენზიო კრებულისა ის არის, რომ მასში წარმოდგენილი ზღაპრები და ლეგენდები შეკრებ-კომენტატორის მიერ გამოქვეყნებულია ე. ბ. სტალინის გენიალური საინთმიცნიერო შრომებიდან გამომდინარე დიდი ამოცანების გათვალისწინებით. ერთიანი ქართული ლიტერატურული ენის ნორმების ხალხში ფართოდ დამკვიდრების სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ამოცანებმა ახლებურად დააყენეს ხალხური ზეპირშემოქმედების ნიმუშების შესწავლისა და გამოცემის საკითხები. ხალხის სალაპარაკო ენაზე ეპოქათა განმავლობაში შექმნილი ზეპირშემოქმედების ნიმუშები ერთიანი ლიტერატურული ენის გამდიდრების, შეერთებისა და სრულყოფის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ. ამიტომ ახლა განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამ ნიმუშების ენობრივად გამართვას, კუთხური, ლიტერატურული ენისათვის შეუფერებელი გამოთქმებისა და სიტყვებისაგან მათ გაწმენდას. ამ მიმართულებით დოც. ალ. ღლონტს საინტერესო მუშაობა ჩაუტარებია. კრებულში ტექსტები წარმოდგენილია გამართული ლიტერატურული ენით ისე, რომ მთქმელის მეტყველების ხალხური კოლორიტი, ხალხური სისადავე და უბრალოება ტექსტებს შენარჩუნებული აქვს. ეს უეჭველად ზრდის კრებულის გამოქვეყნების პრაქტიკულ მნიშვნელობას. კრებულში პირველად ქვეყნდება ლეგენდა „ბატონ ზუმბათოვის მოკვლა“, რომელიც დანიელ ჭონქაძის „სურამის ციხის“ სიუჟეტურ საფუძველს წარმოადგენს. ეს განსაკუთრებით საინტერესოა ქართული ლიტერატურის მასწავლებელთათვის, რომელთაც აღნიშნული ლეგენდა ხელს შეუწყობს ოსმან-აღას თავგადასავლისა და ხასიათის სწორად გახსნაში.

კრებულს დართული აქვს დოც. ალ. ღლონტის მიერ შედგენილი შენიშვნები კრებულში გამოქვეყნებული ზღაპრებისა და ლეგენდების ვარიანტების წყაროების შესახებ, რაც შესაძლებლობას აძლევს ფოლკლორისტიკით დაინტერესებულ პირს უფრო ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლოს ესა თუ ის ზღაპარ-ლეგენდა. კომენტარს უკეთებს რა ზღაპარ „როსტომის“ („როსტომიანის“) ქართული ვერსიების ისტორიას, დოც. ალ. ღლონტი სწორ შეხედულებას ავითარებს ხალხში ამ ზღაპრის გავრცელების პირველადი წყაროების შესახებ და დამაჯერებლად ამტკიცებს პროფ. ა. შანიძის პოზიციის მცდარობას ამ საკითხში. პროფ. ა. შანიძის აზრით „როსტომის ამბები ხალხში ცნობილი პროზად და ლექსად მწიგნობრული გზით არის გავრცელებული. ამ მოთხრობათა და ლექსთა სათავე ის ლიტერატურული ძეგლია, რომელიც უკვდავი ფირდოუსის ქმნილებაა შაჰ-ნამედ წოდებული და რომლის ერთი ნაწილი გუშტასათ მე-15 და მე-16 საუკუნეებში სერაპიონ სოგრატის-ძე საბაშვილს და ხოსრო თურმანიძეს“. დოც. ალ. ღლონტი ამ შეხედულებას უპირისპირებს უფრო სარწმუნო და დასაჯერებელ არგუმენტს. იგი წერს: „ხელნაწერების გარკვეულ სიმცირეს და ხელმოუწვდომობას ფართო მასებისათვის, რაც ასე დაღს ასვამდა საზოგადოდ წიგნიერების განვითარებას ძველად, არ შეეძლო გამოეწვია ლიტერატურული ნაწარმოების ხალხში გადასვლა და ასე ფართოდ გავრცელება. უფრო სავარაუდოა მეორე შეხედულება, ქართველობა როსტომიანისა და ბეჟანის სიუჟეტებს, მათი ხალხური ნიადაგის გამო, გაცილებით ადრე იცნობდა, ვიდრე საბაშვილისა და თურმანიძის თარგმანები შეიქმნებოდა“. ამ შეხედულებას ადასტურებს როსტომიანზე ხალხში გავრცელებული ლექსის ერთი ადგილიც: საქართველოს ეს ამბავი დარჩომოდა ძველის ძველო.

კრებულის „ქართული ხალხური ეპოსის“ გამოცემით სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ ჩვენს მკითხველებს კარგი საჩუქარი მიაწოდა.

ალ. თოფურია

რედაქციის მისამართი: ხეთაგუროვის ქ. №1. ტელეფონები: რედაქტორის — 275, პასუხისმგებელი მდივნის — 57, განყოფილებების პარტიული ცხოვრების, მშრომელთა წერილების, საბჭოთა წყალ-სატრანსპორტო მშენებლობის. კულტსაყოფაცხოვრებო, ადგილობრივი ინფორმაციის — 28, სოფლის მეურნეობის — 52, პროპაგანდის — 62, მორიგისა და გამომწერების — 116.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს სტამბა. ქ. სტალინირი, ისაკის ქ. № 2.

ბას.

წესდება მოითხოვს მტკიცედ დავიცვათ პარტიული და სახელმწიფო დისციპლინა, რომელიც თანაბრად სავალდებულოა პარტიის ყველა წევრისათვის. ლენინსა და სტალინს არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ პარტიის ყოველი წევრის მიერ დისციპლინის დარღვევა სერიოზულ ზიანს აყენებს პარტიისა და სახელმწიფოს ინტერესებს, რომ მხოლოდ შეერთებული ძალღონით და იმით, რომ ცალკეული წევრების პირად ინტერესებს შეგნებულად დავუქვემდებარებთ პარტიის ინტერესებს, შეგვიძლია გადავლახოთ სიძნელენი და დაბრკოლებანი ახალი საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პირობებში, როცა პარტია ახორციელებს ახალ, რთულ ამოცანებს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პატიოსან, პრინციპულ კრიტიკას და თვითკრიტიკას. პარტია კომუნისტებისაგან მოითხოვს კიდევ უფრო განავითაროონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, გამოავლინონ მუშაობის ნაკლოვანებანი და იბრძოლონ მათი აღმოფხვრისათვის, იბრძოლონ პარადული კეთილდღეობისა და თვშაობაში წარმატებებით დატკბობის წინააღმდეგ. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევს პარტია ქვემოდან კრიტიკის განვითარებას.

„ქვემოდან კრიტიკით, — თქვა ამხ. გ. მ. მალენკოვმა პარტიის XIX ყრილობაზე, — გამოიხატება მილიონობით მშრომელის შემოქმედებითი ინიციატივა და თვითმოქმედება, მათი ზრუნვა საბჭოთა სახელმწიფოს განმტკიცებისათვის. რაც უფრო ფართოდ გაჩაღდება თვითკრიტიკა და ქვემოდან კრიტიკა, მით უფრო სრულად გამოვლინდება ჩვენი ხალხის შემოქმედებითი ძალები და ენერგია, მით უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება მასებში ის გრძნობა, რომ ისინი თავიანთი ქვეყნის ბატო-პატრონები არიან“.

[illegible] თვითდამშვიდებულობისა და უდარდელობის განწყობილების წინააღმდეგ, ყოველივე იმის წინააღმდეგ, რაც კი საფრთხეს ჩვენს წინსვლას კომუნიზმისაკენ.

ამით ცხადია, რომ კომუნისტის არსებითი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით შეუწყოს ხელი თვითკრიტიკისა და ქვემოდან კრიტიკის განვითარებას, რომ კომუნისტი, რომელიც ხელს არ უწყობს კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, და მით უმეტეს აბრკოლებს კრიტიკას, რომელიც ქვემოდან მოდის, არ არის თავისი მაღალი წოდების ღირსი.

პარტიის წევრი, როგორც ამას მოითხოვს წესდება, ვერ შეურიგდება ავადმყოფურ მოვლენებსა და ნაკლოვანებებს, გულგრილად ვერ მოეკიდება მათ. თვითეული კომუნისტის ვალია, მისი უმნიშვნელოვანესი პარტიული მოვალეობაა აცნობოს პარტიულ ხელმძღვანელ ორგანოებს, თვით პარტიის ცენტრალურ კომიტეტს შეცდომები და ნაკლოვანებანი, საქმის ცუდი მდგომარეობა და არასწორი მოქმედება, რაც კი ზიანს აყენებს პარტიასა და სახელმწიფოს.

კომუნისტის საწესდებო მოვალეობა და პირდაპირი მორალური ვალია გულმართლობა და პატიოსნება პარტიის წინაშე. ნამდვილ კომუნისტს უსაზღვროდ უყვარს სამშობლო, უფრთხილდება თავის წოდებას—ლენინ-სტალინის დიადი პარტიის წევრის წოდებას და არასოდეს არ იცბიერებს პარტიისა და სახელმწიფოს წინაშე, არ დაადგება მოტყუების, სიმართლის დამალვის, თვალთმაქცობის გზას. მან იცის, რომ საბჭოთა საზოგადოებაში, სადაც ადამიანთა ურთიერთობა შენდება ერთმანეთისადმი დახმარებისა და ნდობის საფუძველზე, სიცრუე განსაკუთრებით დამღუპველია, მას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს თავის ორგანიზაციას, პარტიულ ლიდერებს, რომლებიც მართლობისა და პატიოსნების მაგალითი, აშკარად და მამაცურად აღიარებდნენ თავიანთ შეცდომებს. „...ბოლშევიკების მოვალეობაა, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — კი არ ჩქმალავდნენ თავიანთ შეცდომებს, კი არ ცდილობდნენ, რომ დაეფარნენ თავიანთი შეცდომების საკითხს, როგორც ეს ხშირად არის ჩვენში, არამედ პატიოსნად და აშკარად აღიარებდნენ თავიანთ შეცდომებს, პატიოსნად და აშკარად სახავდნენ ამ შეცდომების გამოსწორების გზებს, პატიოსნად და აშკარად ასწორებდნენ თავიანთ შეცდომებს“. (ლენინი და სტალინი პარტიული მშენებლობის შესახებ, გამოც. 1941, ტომი II, გვ. 630).

პარტიის წესდებაში ძალიან მწყობრად არის დასმული საკითხი პილიტიკური სიფხიზლის შესახებ, იმის შესახებ, რომ აღმოფხვრას უდარდელობა და დოყლაპიობა, რომლებიც ხშირად იწვევს პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოს გამეღვნებას.

პარტიული მორალი კომუნისტებისაგან მოითხოვს მაღალ და მუდმივ სიფხიზლეს, პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოს დაცვას. ეს მოთხოვნა კომუნისტის სახელმძღვანელო ზნეობრივი ნორმა უნდა გახდეს. კომუნისტმა არასოდეს არ უნდა დაივიწყოს ამხანაგ სტალინის მითითება, რომ ჩვენი ქვეყანა მტრულ კაპიტალისტურ გარემოცვაშია, იმყოფება და რომ მტერი ყოველი საშუალებით ცდილობს ხელი იგდოს მისთვის საინტერესო საიდუმლო. სიფხიზლე კომუნისტის განუყოფელი თვისებაა.

3.

პარტიის წევრის მოვალეობანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია წესდებაში, შეადგენენ კომუნისტის უმაღლეს მორალურ კოდექსს. ეს მოვალეობანი განსაზღვრავენ იმ [illegible] მორალური თვისებები, რომლებიც ძვალ-რბილში გაუჯდა ლენინურ-სტალინური ტიპის მოღვაწეს, საბჭოთა პატრიოტს, რომელსაც თავდადებით და მხურვალედ უყვარს თავისი სამშობლო, თავისი ხალხი, თავისი პარტია. კომუნისტებში ამ თვისებათა განვითარება ჩვენი პარტიის სერიოზული გამარჯვებაა. იგი მკაფიოდ მოწმობს პარტიის ძალასა და ძლიერებას, მის ურღვევ შინაგან სიმტკიცეს.

წესდებაში აისახა ამხანაგ სტალინის მითითება იმის შესახებ, რომ საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, რამდენადაც ჩვენ წინ მივდიოვართ წარმოშობილ წინააღმდეგობათა გადალახვის გზით, ყველაფერი იდეალურად როდია, რომ ჩვენში არის უარყოფითი მოვლენები და არიან ყალბი ადამიანები. სწავ აღმოფხვრილი არ არის კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში, ამ ნაშთებს შეუძლიათ შეაღწიონ პარტიაშიც, წარმოშვან იქ სხვადასხვა ამორალური მოვლენა, ზოგჯერ კი აპარატის ცალკეული რგოლების ლპობა.

ამიტომ პარტია მოითხოვს, რომ თვითეული კომუნისტის ყოველდღიური საქმე გახდეს ბრძოლა პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და სხვა ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა და ავადმყოფურ მოვლენათა წინააღმდეგ. პარტია, თავის წევრებს უყენებს რა სერიოზულ მოთხოვნებს, ამავე დროს უზრუნველყოფს მათთვის ფართო უფლებებს, რომლებიც ხელს უწყობენ ამ მოთხოვნების შესრულებას. პარტიის წევრს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს პარტიული პოლიტიკის საკითხების თავისუფალ და საქმიან განხილვაში პარტიულ კრებებზე და პარტიულ პრესაში; გააკრიტიკოს პარტიულ კრებებზე პარტიის რომელიც უნდა იყოს მუშაკი; აირჩიოს და არჩეულ იქნეს პარტიულ ორგანოებში; მოითხოვოს პირადი მონაწილეობა ყველა იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილება გამოაქვთ მისი საქმიანობისა თუ ყოფაქცევის შესახებ; მიმართოს ყოველი კითხვით და განცხადებით ყოველ პარტიულ ინსტანციას, თვით საბჭოთა ხელმძღვანელ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

წესდება აცხადებს, რომ პარტიაში ყოფასთან შეუთავსებელია კომუნისტების პასიური და ფორმალური დამოკიდებულება პარტიის გადაწყვეტილებებისადმი, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა, კრიტიკის დევნა და ჩახშობა, კომუნისტის არაგულმართლობა პარტიის წინაშე და პარტიის მოტყუება, პარტიული და სახელმწიფო საიდუმლოს გამჟღავნება, კადრების შერჩევის პარტიული პრინციპების დარღვევა.

იმისათვის, რომ გაძლიერდეს ბრძოლა კომუნისტების მიერ თავიანთი მოვალეობის არადამაკმაყოფილებლად შესრულების ფაქტების წინააღმდეგ, პარტიული კონტროლის კომისია რეორგანიზებულია პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომიტეტად. პარტიული კონტროლის კომიტეტს ევალება შეამოწმოს, როგორ ასრულებენ პარტიის წევრები და კანდიდატები პარტიულ დისციპლინას, პასუხისგებაში მისცეს კომუნისტები, რომლებსაც ბრალი მიუძღვით პარტიის პროგრამის, წესდების, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, აგრეთვე პარტიული მორალის მოთხოვნათა დარღვევაში.

* * *

საბჭოთა ხალხი უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდა პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს. საბჭოთა ადამიანებს ეს გადაწყვეტილებანი მიაჩნიათ პარტიისა და ამხანაგ სტალინის მამობრივ ზრუნვად ხალხისათვის, საყვარელი სამშობლოს აყვავებისა და ძლიერებისათვის. საბჭოთა ადამიანების გონებასა და გულს ფლობს ერთი მძლავრი პატრიოტული მისწრაფება — თავიანთი შრომით დაახჩარონ კომუნიზმის აშენების სტალინური პროგრამის განხორციელება.

ამ შემოქმედებით შრომაში კომუნისტები, ყრილობის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, გვიჩვენებენ შემოქმედებითი ენერგიისა და შრომითი მამაცობის მაგალითს, არიან და კვლავაც იქნებიან კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში.

ვ. ფურცევლოვი

ამ საფოსტო ტარებულია

ვერა (ქ) ჯოხაძე

02.11.93 ბერიკაშვილი